

გალია

სადაც გინდ ვიყო, რა მგამა,
ყოფაცა მქონდეს ნებისა.
რუსთაველი.

ნუ დაატყვევებთ შრომანსა, ნუ ჩასვამთ გალიაშია:

ღმერთმა შეასხა მას ფრთები, ფრინავდეს, სტვენდეს ბაღშია

ნუ დაატყვევებთ არწივსა: მთა-კლდეა მისი სამშობლო,

მის სანავარდო ცა არის, მის სადგურია ფრიალო.

ნუ დაატყვევებთ გულს ტურფას: იმისი გული ზღვა არის:

ვინც უყვარს, დეე მას წაჰყვეს. სიკვდილი არის სხვა მისთვის

ღმერთმა მას მისცა ის გული, მის არსი იმის გულია,

იმის სიცოცხლე და შვება მხოლოდ ის სიყვარულია!

ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყოს არა მცნებისა:

დეე, მაღლა თქვას, წარმოთქვას, დმაშია ყოფა ნებისა.

ღვთის ქმნილს გალია არ შვენის, რად იყოს ტყვეობაშია?

ბევრით სჯობია სიკვდილი სიცოცხლეს გალიაშია.

1882 წ.